სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - ა.ი.პ. ,, ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტოს'' მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის ობიექტზე სახიფათო ნარჩენების განთავსების, ინსენერაციის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების აღდგენა /განთავსება

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: ა.ი.პ ,,ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტო''

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- **2026 წლის 5 ოქტომბერი, 13:00 საათი, ქ. ქუთაისში, ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულის შენობა (მის: ქუთაისი / ავტომშენებლის გამზ.40)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის და საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2026 წლის 10 სექტემბერს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ

სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/364d43ca-816a-4e5d-ba09-20462676f22f